



დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნა “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის პროექტზე

ლალი ბაქრაძე
ლიკა ღლონტი

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებასა და მის შრომის ბაზართან დაკავშირებას, შემუშავებულია პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირების საჭიროებით. კანონპროექტს უდავოდ მრავალი ღირსება გააჩნია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონპროექტისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი სიახლის ჩამოთვლა:

1. ქვეყანაში განათლების სისტემის კარმონიზაცია - განათლების სისტემის აღნიშნული რგოლის რეფორმირებით დასრულებული და ერთიანი სახე მიეცემა ამ სისტემაში მიმდინარე რეფორმებს. აღნიშნული კანონპროექტით ჩამოყალიბდა საერთო ხედვა, რომელიც მას აკავშირებს “უმაღლესი განათლების შესახებ”(2004) და “ზოგადი განათლების შესახებ” (2005) კანონებთან და ქმნის საერთო ჩარჩოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიის დასანერგად.

2. ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოება - კანონპროექტი ეხმაურება პროფესიული განათლების სფეროში ევროპაში მიმდინარე რეფორმებს, კერძოდ “კოპენჰაგენის პროცესს” და ხელს უწყობს საქართველოს დაახლოებას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესა და შრომის ბაზართან

3. შრომის ბაზართან კავშირის გაძლიერება - სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართვა პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებაში, სასწავლებლების მართვასა და ა. შ. ცალსახად შეუწყობს ხელს პრაქტიკასა და რეალურ მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას.

4. არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შემოღება - პირველად ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შემოდის არაფორმალური განათლების ცნება, რომელიც “სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში” სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დაინერგება მისი აღიარების მექანიზმები.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დეფინიცია - “უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის შემდეგ ამ კანონპროექტით საბოლოოდ გაიმიჯნა სასწავლებლის სახეები განათლების საფეხურების მიხედვით.

6. პროფესიული განათლების სფეროში საკრედიტო სისტემის დანერგვა ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ დავეგემოთ სასწავლო პროცესი და გაგხადოთ იგი სტუდენტზე ორიენტირებული.

7. პრესტიჟის ამაღლება – შემოთავაზებული კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმების ცხოვრებაში დანერგვამ ხელის უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლებას.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე კომენტარის გაკეთება:

1. პირველ რიგში მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული კანონპროექტისა და განათლების სფეროს მარეგულირებელი სხვა კანონების ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კანონპროექტის მეორე მუხლში მოცემული ისეთი ტერმინები როგორცაა “დიპლომირებული სპეციალისტი” და “პროფესიული ასოციაცია” სხვაგვარადაა განმარტებული “უმაღლესი განათლების შესახებ კანონში”. ამდენად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების მომზადება “უმაღლესი განათლების შესახებ კანონისათვის” და მათი ერთიან პაკეტში მიღება.

2. ტერმინი “პროფესიული სტუდენტი” - ვფიქრობთ საჭირო არაა სტუდენტების ამგვარად დაყოფა. იმ შემთხვევაში როდესაც აუცილებელია განათლების საფეხურების მიხედვით სტუდენტთა გაყოფა სასურველია გამოვიყენოთ ტერმინები: “სახელობო სასწავლებლის სტუდენტი” ან “უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი”.

3. მუხლი 2, პუნქტი “ფ” – პროფესიული სწავლების ცენტრი განმარტებულია როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუმცა კანონის მე-12 მუხლის “გ” ქვეპუნქტსა და და 27-ე მუხლის მეორე პუნქტში პროფესიული სწავლების ცენტრი მოხსენიებულია ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირად. ზემოხსენებულისგან გამომდინარე, განმარტება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “პროფესიული სწავლების ცენტრი - საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს”.

4. მუხლი 3 პუნქტი “ლ”, “ზ” ქვეპუნქტში პროფესიული განათლების ერთ-ერთ მიზანს უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება წარმოადგენს. უკეთესი იქნება თუ გამოვიყენებთ ტერმინს “სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში”, რომელიც გამოყენებულია კანონში “უმაღლესი განათლების შესახებ” და ასევე კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ეს ტერმინი უფრო შეესაბამება კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესებში გამოყენებულ ინგლისურენოვან ტერმინს “Life Long Learning”.

5. მუხლი 30, პუნქტი “ლ” ბოლო წინადადებაში სიტყვა “სტუდენტების” უნდა შეიცვალოს სიტყვით “სწავლების”.

6. კანონის მთელს ტექსტში ტერმინი “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო” უნდა შეიცვალოს ტერმინით “პროფესიული განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო”, ვინაიდან:

ა) ტერმინის განმარტებიდან გამომდინარე (მუხლი 2, პუნქტი “ვ”) იგი იქმნება მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციებისათვის. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე კი ეროვნულმა საკვალიფიკაციო ჩარჩომ უნდა მოიცვას განათლების ყველა საფეხურზე (მ. შ. აკადემიური ხარისხებიც) მიღებული კვალიფიკაცია. ამის დამადასტურებელია ევროკავშირის სამუშაო დოკუმენტით შემოთავაზებული (Brussels, 8.7.2005; SEC(2005) 957 - " TOWARDS A EUROPEAN QUALIFICATIONS FRAMEWORK FOR LIFELONG LEARNING") 8 დონიანი ჩარჩო, რომლის ბოლო სამი დონე შეესაბამება ბოლონიის პროცესის 3 საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა) და შესაბამის აკადემიურ ხარისხებს;

ბ) ეროვნული პროფესიული სააგენტო იქმნება პროფესიული განათლების რეგულირების მიზნით და მის კომპეტენციაში არ შეიძლება შედიოდეს არამც თუ აკადემიური ხარისხების დონეების განსაზღვრა, არამედ აღნიშნული დონეების შესაბამისი სტანდარტის დამტკიცება;

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ბოლონის პროცესის 2005 წლის ბერგენის სამიტზე¹ მიღებული კომუნიკეს თანახმად ყველა მონაწილე ქვეყანის განათლების სამინისტრომ 2007 წლამდე უნდა დაიწყო მუშაობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის ტექნიკურმა ხარვეზმა შემდგომში ხელი არ შეუშალოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს ქვეყანაში არსებულ ყველა კვალიფიკაციას.

7. გარდამავალ დებულებებში მუხლი 37, პუნქტი “7” ვადები არარეალისტურად გვესახება. პრაქტიკულად შეუძლებელია შექმნიდან 6 თვის განმავლობაში ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ უზრუნველყოს საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცება.

8. ვფიქრობთ, რომ 37-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული 2013 წელი ძალზედ შორეული ვადაა. თითქმის 7 წელის განმავლობაში სახელობო განათლების სასწავლებლების სერტიფიცირებული მასწავლებლის გარეშე დატოვება უარყოფითად იმოქმედებს განათლების ხარისხზე და შესაბამისად იმ პრესტიჟზეც, რომლის ამაღლებაზედაც წარმოდგენილი კანონპროექტი ზრუნავს. სასურველია აღნიშნული ვადის 2010 წლით შეცვლა.

¹ როგორც ცნობილია 2005 წლის ბერგენის სამიტზე საქართველო შეუერთდა ბოლონის პროცესს.